



## ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება N054-13

საჩივრის ავტორსა და მოპასუხე ადვოკატ თ. ჯ. – ს შორის შედგა შეხვედრა და 2012 წლის 14 დეკემბერს. შეხვედრის დროს საჩივრის ავტორმა ადვოკატს გადასცა მის ხელთ არსებული ყველა საბუთი, კერძოდ, რეესტრიდან გამოთხოვილი საჯარო ინფორმაცია დაკავშირებული სადავო ნაკვეთის საკუთრებაში გადაცემასთან; მერიიდან მიღებული საპასუხო წერილები, ამონაწერი ოქმიდან და ორთოფოტოები 2006 და 2010 წლის მდგომარეობით. საჩივრის ავტორმა ადვოკატ თ. ჯ. – ს 2013 წლის 01 მარტს ჩაურციხა თანხა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით, ანუ ის თანხა, რასაც ადვოკატი სთხოვდა. 2013 წლის 21 ივნისს ადვოკატმა თ.ჯ.-მ 2013 წლის ივნისის შუა რიცხვებში მომჩივანს უკან დაუბრუნა თანხა, რადგან მანამდე დასაბრუნებელი თანხა არ ჰქონდა. საჩივრის ავტორ მ. მ. – ს განმარტებით მან თავისი საქმის მასალები გამოართვა სულ სხვა ადვოკატს ა. ბ. – ს. ადვოკატი აცხადებს, რომ მან შეატყობინა მ.მ.-ს მისი საქმის მასალების ადვოკატ ა.ბ.-სთვის გადაცემაზე; მომჩივანი მ.მ. კი უარყოფს მასალების სხვისთვის გადაცემის ცოდნას. სხდომაზე ვერ მოხერხდა მოწმის სახით ადვოკატ ა.ბ.-ს გამოცხადება, ამიტომ ადვოკატის პოზიცია ვერ დადასტურდა.

2013 წლის 28 მაისს ს.ს.ი.პ. „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მიმართა მ.მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ თ.ჯ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ აღძრა დევნა ადვოკატის მიმართ ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-4.1, მე-8.5 და მე-8.6 მუხლების შესაძლო დარღვევის ფაქტზე.

განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატმა დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი, კლიენტისთვის ინფორმაციის მიწოდების და მისი ფინანსური სახსრების სწორად განკარგვის ვალდებულება.

რამდენად არსებობს საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები?

ეთიკის კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატ თ.ჯ.-ს მიერ ჩადენილი იქნა დისციპლინური გადაცდომა, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მოთხოვნის დაკმაყოფილების წინაპირობები და საფუძვლები არსებობს.

უნდა მიეწოდებინა თუ არა ადვოკატ თ.ჯ.-ს ადვოკატ ა.ბ.-სთვის მ.მ.-ს მასალები მასთან შეთანხმების გარეშე? ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი). რწმუნებულმა დავალება პირადად უნდა შეასრულოს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მას ნება დართეს გადაენდო იგი მესამე პირისათვის (საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლის პირველი ნაწილი).

ადვოკატსა და კლიენტს ან უფლებამოსილ პირს შორის შეთანხმება ადვოკატის მიერ წარმომადგენლობის განხორციელების თაობაზე, კლიენტს აძლევს შესაძლებლობას იყოს ინფორმირებული მისი ინტერესების წარმომადგენლის შესახებ, ჰქონდეს ადვოკატთან კომუნიკაცია და უშუალოდ მისგან მიიღოს ინფორმაცია მისი საქმის მიმდინარეობისა და შედეგების თაობაზე. ასევე, სამოქალაქო კოდექსის 711-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, რწმუნებულს შეუძლია, რომ მისთვის მინიჭებული უფლებამოსილება დაკისრებული ვალდებულების შესასრულებლად გადასცეს სხვა პირს, თუ აქვს შესაბამისი პირის თანხმობა საქმის სხვა პირისათვის გადანდობის თაობაზე. ამ შემთხვევაში, ადვოკატ თ.ჯ.-ს არ ჰქონია თანხმობა მ.მ.-სგან, რომ მის საქმეზე წარმომადგენლობა განეხორციელებინა ადვოკატ ა.ბ.-ს და საქმის მასალებიც მას გადასცემოდა. საწინააღმდეგო პოზიციის დასადასტურებლად ადვოკატის მიერ მითითებული მოწმე არ გამოცხადდა განხილვის კოლეგიის სხდომებზე. ადვოკატ თ.ჯ.-ს არ უნდა მიეწოდებინა მ.მ.-ს საქმესთან დაკავშირებული მასალები ადვოკატ ა.ბ.-სთვის, რადგან ამასთან დაკავშირებით მას არ ჰქონია კლიენტის თანხმობა.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა თ.ჯ.-მ მ.მ.-ს საქმის მასალების ადვოკატ ა.ბ.-სთვის გადაცემით კონფიდენციალობის პრინციპი? ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირებს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს.



კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რაც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისაგან ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველისაგან, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო კლიენტთან ან მის საქმესთან დაკავშირებით (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-4 მუხლის პირველი ნაწილი).

კონფიდენციალობის დაცვის ვალდებულება მოიცავს კლიენტისაგან პროფესიული საქმიანობის დროს მიღებულ ინფორმაციას, რომლის დაცვის ვალდებულება ადვოკატს უნარჩუნდება კლიენტთან ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ. საქმის მასალები არის კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მიწოდებული კონფიდენციალური ინფორმაცია და ადვოკატმა კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია გათქვა მასთან შეთანხმების გარეშე. ადვოკატის ქმედებით კლიენტის კონფიდენციალური ინფორმაცია სრულად აღმოჩნდა მესამე, არაუფლებამოსილი პირის ხელში. ადვოკატმა თ.ჯ.-მ დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი, რადგან კლიენტის შესახებ ინფორმაცია მასთან შეთანხმების გარეშე მიაწოდა მესამე პირს.

დაარღვია თუ არა ადვოკატმა თ.ჯ.-მ კლიენტთან კომუნიკაციის ვალდებულება? ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-6 ნაწილი).

ადვოკატის მოვალეობაა, კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობისა და სავარაუდო შედეგების თაობაზე. ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის სათანადო მიწოდება გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას სრულფასოვნად, გასაგებ ენაზე და დროულად. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატი არ აწვდიდა კლიენტს მისი საქმის მსვლელობის შესახებ ინფორმაციას, კლიენტის ყოველი მცდელობისას, ადვოკატისაგან მიეღო მისი საქმის შესახებ ინფორმაცია, შემოიფარგლებოდა მხოლოდ ზოგადი განმარტებით და დაიმედეებით, რომ ყველაფერი კარგად იყო; ადვოკატის მიერ პროფესიული საქმიანობისას კლიენტის ინტერესებისადმი ამგვარი დამოკიდებულება არის გულგრილი დამოკიდებულება საქმისადმი. ადვოკატ თ.ჯ.-მ დაარღვია კლიენტთან კომუნიკაციის ვალდებულება, რადგან არ აწვდიდა მას ინფორმაციას დროულად და სათანადოდ.

დისციპლინური პასუხისმგებლობის რომელი ზომის გამოყენებაა მიზანშეწონილი მოცემულ შემთხვევაში?

ადვოკატმა თ.ჯ.-მ არ განახორციელა სათანადოდ მასზე დაკისრებული ვალდებულება. კლიენტს არ აწვდიდა სრულ ინფორმაციას მისი საქმის მსვლელობასთან დაკავშირებით. ასევე, მასთან შეთანხმების გარეშე გადასცა მისი საქმის მასალები მესამე პირს და ამით დაარღვია კონფიდენციალობის პრინციპი. ამ ქმედებებით, კლიენტს, საჩივრის აღმძვრელს, არც თავის საქმეში მიუღწევია წარმატებისთვის და ამასთან, დაკარგა ნდობა თავისი ადვოკატის მიმართ. ადვოკატის მსგავსი ქმედება სცდება ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ფარგლებს. ადვოკატ თ.ჯ.-ს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრა კერძო სარეკომენდაციო ბარათის მიცემა.